4597-04-2-2-202005011407

N 04-2/4597
01/05/2020

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს
ქალბატონ ეკა ურუშაძეს
მის.: ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ᵃ

ქალბატონო ეკა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თქვენი 2019 წლის 5 დეკემბრის №15143/19 და 2020 წლის 17 მარტის №3698/20 განცხადებები, რომლებიც შეეხება სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების საკითხს.

წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, 2019 წლის მანძილზე ლაბორატორიულად შემოწმდა საქართველოს ბაზარზე შემენილი პარფიუმერია-კოსმეტიკისა და ბიჟუტერიის ნიმუშები, რის შედეგადაც გამოვლინდა ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტები. თქვენი მითითებით, საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმრავლესობის უსაფრთხოების კონტროლი არ ხდება, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ცნობით, სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის პრიორიტეტების განსაზღვრისას, საქართველო ხელმძღვანელობს ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართით და მასში ასახული სფეროების ჩამონათვალით, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ყველა სახის სამომხმარებლო (მათ შორის, პარფიუმერული, კოსმეტიკური და თავის მოვლის საშუალებები, ასევე ბიჟუტერია) პროდუქტი. უწყების მითითებით, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მომეტებული რისკის შემცველად სწორედ ხსენებულ დანართში ასახული პროდუქტებია მიჩნეული და სააგენტოს საზედამხედველო პოლიტიკაც მათზე კონცენტრირდება.

აღსანიშნავია, რომ სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, უწყების კომპეტენციის ფარგლებს აღემატება საკანონმდებლო მოწესრიგების მიღმა დარჩენილი სამომხმარებლო პროდუქტებისგან მომდინარე რისკების შესწავლა. ამდენად, მათ არ უკვლევიათ ის საფრთხეები, რაც დაკავშირებულია ბაზარზე განთავსებული პარფიუმერული, კოსმეტიკური და თავის მოვლის საშუალებებთან თუ ბიჟუტერიასთან. მოგახსენებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატი, მინიჭებული უფლებამოსილებისა და შესაბამისი ცოდნის/კომპეტენციის ნაკლებობის გამო, მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს, თუ რამდენად მაღალი რისკის შემცველია მითითებული პროდუქციის ზედამხედველობის გარეშე რეალიზება და რა სახის ზემოქმედება აქვს მას ადამიანის ჯანმრთელობაზე. რაც შეეხება თქვენი ორგანიზაციის მიერ

წარმოებულ კვლევებს, აღნიშნული არ იძლევა ქვეყნის მასშტაბით ამ თვალსაზრისით არსებული სრულფასოვანი სურათის დანახვის შესაძლებლობას.

ამდენად, სახალხო დამცველის აპარატი, კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის გათვალისწინებით, მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს სხვაგვარი სამართლებრივი რეაგირება თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით და ასრულებს წარმოებას №15143/19 და №3698/20 განცხადებებზე.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ლიკა წიკლაური

დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი

3669-04-2-2-202003301503

N 04-2/3669
30/03/2020

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს უფროსს
ბატონ რამაზ ობოლაძეს

ბატონო რამაზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის №15143/19 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების საკითხებს.

განმცხადებლის მითითებით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამამ 2019 წლის მანძილზე ლაბორატორიულად შეამოწმა საქართველოს ბაზარზე შეძენილი პარფიურმერია-კოსმეტიკისა და ბიჟუტერიის ნიმუშები, რის შედეგადაც, გამოვლინდა ათეულობით ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტი.[1] ცენტრი აღნიშნავს, რომ საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმრავლესობის უსაფრთხოების კონტროლი არ ხდება, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

თქვენი უწყების №01/7 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ცალკეული სამომხმარებლო პროდუქციის მიმართ (პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებები, თავის მოვლის საშუალებები, ბიჟუტერია და საოჯახო ჭურჭელი) სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგებისა და მისი აღსრულების მექანიზმების შექმნა არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით. შესაბამისად, ამ პროდუქტებზე ზედამხედველობის დანერგვა საკანონმდებლო დონეზე ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი.

აღნიშნული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად, გთხოვთ, ამავე კანონით დადგენილ ვადაში მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. გარდა ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკისრებული პირდაპირი ვალდებულების არარსებობისა, რა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით არ არის დაგეგმილი სხვადასხვა სამომხმარებლო პროდუქციის მიმართ (მათ შორის, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებები, თავის მოვლის საშუალებები, ბიჟუტერია და საოჯახო ჭურჭელი) სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგებისა და მისი აღსრულების მექანიზმების შექმნა;

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.momxmarebeli.ge/> [ბოლოს ნანახია: 27.03.2020].

2. შესწავლილი აქვს თუ არა სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საკანონმდებლო მოწესრიგების მიღმა დარჩენილი სამომხმარებლო პროდუქტებისგან (მათ შორის, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებები, თავის მოვლის საშუალებები, ბიჟუტერია და საოჯახო ჭურჭელი) მომდინარე რისკები, რაც საფრთხეს უქმნის მომხმარებელთა ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია და სათანადო დოკუმენტაციის ასლები, ხოლო, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განგვიმარტოთ მიზეზი;
3. რა ეტაპზეა ასოცირების შესახებ შეთანხმებით (დანართი XXIX, პროდუქტის უსაფრთხოება) გათვალისწინებული „პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ" ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივის დებულებების შესრულების პროცესი ამჟამად. გთხოვთ, მიგვითითოთ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე და მოგვაწოდოთ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დღეის მდგომარეობით, არ არის გატარებული ქმედითი ზომები დირექტივიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულების მიზნით, განგვიმარტეთ აღნიშნულის მიზეზი;
4. რა ეტაპზეა ასოცირების შესახებ შეთანხმებით (დანართი XXIX, პროდუქტის უსაფრთხოება) გათვალისწინებულ ევროკომისიის 2009/251/EC გადაწყვეტილებაში ასახული სტანდარტის (უზრუნველყოფა, რომ ბიოციდის დიმეთილ ფუმარატის შემცველი პროდუქტები არ იქნება განთავსებული ან ხელმისაწვდომი ბაზარზე) დანერგვის პროცესი ამჟამად.

პატივისცემით,

ლიკა წიკლაური

დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 0 20 00001308

15/01/2020

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს

ასლი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური
და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ლიკა წიკლაურს

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/624 ბრძანებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად, წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის №04-3/13915 წერილს სამომხმარებლო პროდუქტებზე დაწესებული ზედამხედველობის შესახებ სამართლებრივი აქტებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი წერილი და პასუხი აცნობოთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
პრემიერ-მინისტრის აპარატი
აპარატის უფროსი
სახოკია გიორგი

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.GOV.GE

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბაზარზე ზედამხედველობის
სააგენტო

PUBLIC LAW LEGAL ENTITY MARKET
SURVEILLANCE
AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA000033953722320

№ **01/7**

[kanc_date]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური,
სოციალური და კულტურული უფლებების
დაცვის დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ
ლიკა წიკლაურს

ქალბატონო ლიკა,

თქვენი 2019 წლის 24 დეკემბრის N04-3/13915 წერილის პასუხად გაცნობებთ:

1. დღეის მდგომარეობით, სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო პარფიუმერიულ და კოსმეტიკურ საშუალებებზე, თავის მოვლის საშუალებებზე, ბიჟუტერიასა და საოჯახო ჭურჭელზე ბაზარზე ზედამხედველობას არ ახორციელებს;

2. საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, III-A დანართით გათვალისწინებულია ევროკანონმდებლობის ნუსხა არასასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლის აპროქსიმაციის ვალდებულება დაეკისრა საქართველოს. აღნიშნული მოიცავს 21 ევროპულ დირექტივასა და რეგულაციას სხვადასხვა სამომხმარებლო თუ ინდუსტრიული პროდუქტებზე, რომელთა შორისაც არ არის გათვალისწინებული პარფიუმერიული და კოსმეტიკური საშუალებები, თავის მოვლის საშუალებები, ბიჟუტერია და საოჯახო ჭურჭელი. შესაბამისად, ამ პროდუქტებზე ზედამხედველობის დანერგვა საკანონმდებლო დონეზე ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი.

3. დღეის მდგომარეობით, სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებთან ერთად, ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს ასევე შემდგომ სამომხმარებლო პროდუქტებზე:

- **სანთებელები** - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N635 დადგენილებით დამტკიცებულია შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი „ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელების დაშვებისა და ახალი სახეობების სანთებელების აკრძალვის შესახებ“. ხელმისაწვდომია:

https://matsne.gov.ge/document/view/3529406?publication=0

- **შეცდომაში შემყვანი პროდუქტები** - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N634 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი „შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას“.

ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3529465?publication=0

4. 2020 წლიდან, მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების საფუძველზე, ბაზარზე ზედამხედველობა ასევე განხორციელდება შემდგომ სამომხმარებლო პროდუქტებზე:

სათამაშოები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N47 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4776792?publication=0

აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ".

ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/document/view/4793444?publication=0

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N82 დადგენილებით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ."

2022 წლიდან ბაზარზე ზედამხედველობა ასევე განხორციელდება **ძაბვის განსაზღვრულ ზღვრებში მომუშავე ელექტრო მოწყობილობებზე.**

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	რამაზ ობოლაძე

13915-04-3-2-201912241633

N 04-3/13915
24/12/2019

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ ნათია მეზვრიშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის N15143/19 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების საკითხს.

განმცხადებლის მითითებით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამამ 2019 წლის მანძილზე ლაბორატორიულად შეამოწმა საქართველოს ბაზარზე შეძენილი პარფიურმერია-კოსმეტიკისა და ბიჟუტერიის ნიმუშები, რის შედეგადაც, გამოვლინდა ათეულობით ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტი.[1] ცენტრი აღნიშნავს, რომ საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმრავლესობის უსაფრთხოების კონტროლი არ ხდება, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ, ამავე კანონის 23-ე მუხლით დადგენილ ვადაში მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაცია სრულად:

1. ხორციელდება თუ არა, დღეის მდგომარეობით, ისეთი ყოველდღიური მოხმარების პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლი, როგორებიცაა: პარფიურმერული და კოსმეტიკური საშუალებები, თავის მოვლის საშუალებები, ბიჟუტერია, საოჯახო ჭურჭელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიგვითითოთ შესაბამის სამართლებრივ აქტებზე;
2. პირველ კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, განგვიმარტოთ აღნიშნულის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები და გვაცნობოთ, იგეგმება თუ არა და როდის ზემოაღნიშნული სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოების ზედამხედველობის დანერგვა საკანონმდებლო დონეზე;

[1] დაწვრილებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: momxmarebeli.ge.

3. დღეის მდგომარეობით, რომელი სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოების კონტროლი ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მიერ. გთხოვთ, მიგვითითოთ, შესაბამის ნორმებზე და ტექნიკურ რეგლამენტებზე;
4. რომელ სამომხმარებლო პროდუქტებზეა დაგეგმილი უსაფრთხოების ზედამხედველობის დანერგვა და როდის.

პატივისცემით,

ლიკა წიკლაური

დეპარტამენტის უფროსი (I რანგი; საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KA000069568130120

№ 01/21

09 / აპრილი / 2020 წ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური,
სოციალური და კულტურული უფლებების
დაცვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ლიკა წიკლაურს

ქალბატონო ლიკა,

თქვენი 2020 წლის 30 მარტის N04-2/3669 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის პრიორიტეტების განსაზღვრისას, საქართველო ხელმძღვანელობს ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართით, რომელიც ადგენს იმ სფეროების ჩამონათვალს, რომელთა დაახლოების ვალდებულება იკისრა ჩვენმა ქვეყანამ.

ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით მომეტებული რისკების შემცველ პროდუქტებად მიჩნეულია ზემოთ ხსენებულ დანართში მითითებული პროდუქტები და შესაბამისად აუცილებელია ზედამხედველობის განხორციელების თანმიმდევრული მიდგომის შერჩევა, რომელიც დაეყრდნობა თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს. სწორედ ამიტომ, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს საზედამხედველო პოლიტიკა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ პროდუქტებზეა კონცენტრირებული.

2. სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს აღემატება საკანონმდებლო მოწესრიგების მიღმა დარჩენილი სამომხმარებლო პროდუქტებისგან მომდინარე რისკების შესწავლა. ამ ეტაპზე ზედამხედველობა ხორციელდება თანმიმდევრულად, საკანონმდებლო დაახლოების ცხრილით გათვალისწინებულ იმ პროდუქტებზე, რომელთაგან მომდინარე რისკები შეფასებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების მაგალითზე და ორივე ხელშემკვრელი მხარის მიერ პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

3. ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული 2001/95/EC დირექტივის („პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ") შესაბამისად, ჩვენმა ქვეყანამ 2012 წელს მიიღო საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი. კოდექსის დებულებების შესრულება ხორციელდება ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართის პრიზმაში. კერძოდ, სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება და სამომავლოდ განხორციელდება იმ პროდუქტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დანართით და შემდგომში იქნება გათვალისინწინებული ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე და დინამიური საკანონმდებლო დაახლოების პრინციპის

გათვალისწინებით.

4. ევროკომისიის გადაწყვეტილება 2009/251/EC ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წელს, No 412/2012 კომისიის რეგულაციის მიღების შედეგად. აღნიშნული რეგულაციით, ცვლილება შევიდა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზებისა და აკრძალვის შესახებ რეგულაციის (REACH) XVII დანართში. ვინაიდან REACH-ის აპროქსიმაციის ვალდებულება არ არის გათვალისწინებული ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართით, დიმეთილფუმარატის შემცველ პროდუქტებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება ამ ეტაპზე ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არ არის დაგეგმილი.

პატივისცემით,

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

რამაზ ობოლაძე